



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

2020 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

სარჩევნი

შესავალი.....	2
სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება.....	3
სტრატეგიული მიზანი 1	3
სტრატეგიული მიზანი 2	10
სტრატეგიული მიზანი 3	17
სტრატეგიული მიზანი 4	23
სტრატეგიული მიზანი 5	28
სტრატეგიული მიზანი 6	35
დასკვნა.....	37
2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები	38

შესავალი

საანგარიშო პერიოდში კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებდა „შპს ბარაკონი (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტრატეგიული გეგმა 2016-2022“-ის შესაბამისად.

სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიქმნა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისიის მიერ და განსახილველად გადაეცა პედაგოგიურ საბჭოს. სტრუქტურულ ერთეულს განხილვისა და შენიშვნებისათვის მიეცა ერთი კვირის ვადა. მიღებული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით ჩასწორებული სტრატეგიული გეგმის პროექტი განსახილველად და შემდგომში დასამტკიცებლად წარედგინა დამფუძნებელთა საბჭოს. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება იყო თანამონაწილეობითი პროცესი და მასში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები.

სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა შედგება 6 სტრატეგიული მიზნისგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 14 ამოცანასა და 39 აქტივობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით შემდეგი სტრატეგიული მიზნებია გამოყოფილი:

- მატერიალური რესურსის განვითარება;
- კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება.

აღნიშნული აქტივობების შესრულება ხელს უწყობს კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის კუთხით.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

სტრატეგიული მიზანი 1

2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მატერიალური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 3 ამოცანის ფარგლებში 9 აქტივობის განხორციელება.

ამოცანა 1 – სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება

<i>აქტივობა 1 - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალა-ნედლეულის შეძენა</i>	
აქტივობის მოკლე აღწერა	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალა-ნედლეულის შეძენა.
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალა-ნედლეულის მაჩვენებელი
სავარაუდო ვადა	2020 წელი
მიღწეული შედეგები	<p>სასწავლო მიზნებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა მასალა-ნედლეული, რომელთა ღირებულებამ საერთო ჯამში შეადგინა 2500 ლარი. შეძენილ იქნა მონიტორი, თავგი, კლავიატურა, კამერა, ეთილის სპირტი, გლიცერინი, წყალბადის ზეჟანგი, გამოხდილი წყალი, მენდელეევის ცხრილი, ინდიკატორის ქაღალდი, პარაფინი, აზოტმჟავა, ციფრული თერმომეტრები და სხვა. ასევე, საანგარიშო პერიოდში დამატებით შეძენილ იქნა დაახლოებით 900 ლარის საკანცელარიო ნივთები.</p> <p>ასევე, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო გარემო კეთილმოეწყო. აუდიტორიაში</p>

	<p>დამონტაჟდა ფარდა-ჯალუზები, შეიცვალა განათება და ქსელური სისტემა. მათ შორის, პერიფერიული მოწყობილობების ნაწილი.</p> <p>აქვე, გასათვალისწინებელია, რომ 2 მარტიდან 4 თვის განმავლობაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - საჭიროებისამებრ, პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ინვენტარის განახლება	
აქტივობის მოკლე აღწერა	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა სასწავლო ინვენტარის განახლება.
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისად შეძენილი/განახლებული ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი
მიღწეული შედეგები	<p>ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო გარემო კეთილმოეწყო. აუდიტორიაში დამონტაჟდა ფარდა-ჯალუზები, შეიცვალა განათება და ქსელური სისტემა. მათ შორის, პერიფერიული მოწყობილობების ნაწილი.</p> <p>აქვე, გასათვალისწინებელია, რომ 2 მარტიდან 4 თვის განმავლობაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების</p>

	შეზღუდვის მიზნით, რის გამოც ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა არ დაწყებულა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის დამატებით სასწავლო ინვენტარის განახლების საჭიროება არ დანდგარა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - სან-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, გათბობის სისტემისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა	
აქტივობის მოკლე აღწერა	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა სან-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, გათბობის სისტემისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა.
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> სან-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, გათბობის სისტემისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფაზე დახარჯული თანხა
სავარაუდო ვადა	2020 წელი
მიღწეული შედეგები	<p>საანგარიშო პერიოდში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟების მიზნის შეძენილია 1000 ლარზე მეტის ღირებულების სხვადასხვა აღჭურვილობა/ინვენტარი - სახანძრო კარადა, სახანძრო ონკანი, სახანძრო ლულა, მნათი ტაბლოები, ავარიული სანათები და სხვა. ასევე, განხორციელდა მათი მონტაჟი.</p> <p>სანიტარიულ-ჰიგიენური წერტილებისთვის შეძენილია სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები. ასევე, ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შესაბამისად შეძენილია სადეზინფექციო სითხეები, დეზობარიერები, უკონტაქტო თერმომეტრი,</p>

	პედლიანი ნაგვის ურნები, სახის დამცავი ფარები და სხვა. მათმა საერთო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 1900 ლარი.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 4 - სტუდენტური სივრცის მოწყობა				
აქტივობის მოკლე აღწერა	სასწავლო სახელოსნოების/ დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა სტუდენტური სივრცის მოწყობა.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> მატერიალური რესურსის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხა 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 2 - საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება

აქტივობა 1 - ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა

აქტივობის მოკლე აღწერა	ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა წარმოადგენდა საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა 			
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	<p>საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა. საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ხორციელდებოდა ტრენინგები დისტანციურად. ტრენინგებისთვის გამოყენებული იყო ონლაინ პლატფორმა Conference.ssg.gov.ge .</p> <p>დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eFlow) 2 ივლისამდე მუშაობდა სატესტო რეჟიმში. ამჟამად, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ელექტრონული საქმისწარმოება კოლეჯში დანერგილია.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - ელ-ფოსტის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა				
აქტივობის მოკლე აღწერა	ელ-ფოსტის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა წარმოადგენდა საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დანერგილი ელ-ფოსტის ერთიანი ელექტრონული სისტემა 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2 მარტიდან 4 თვის განმავლობაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო			

	ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, კოლეჯმა შემდგომ დაიწყო ელ-ფოსტის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა. კერძოდ, მაგთიკომისგან შეიძინა 50 საფოსტო ყუთი, რომელიც გამოყენებულია ადმინისტრაციის პერსონალისთვის.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - ვებ გვერდის მუდმივი განახლება სიახლეების განთავსებით				
აქტივობის მოკლე აღწერა	ვებ გვერდის მუდმივი განახლება წარმოადგენდა საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> გონივრულ ვადებში განახლებული ვებგვერდი 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2 მარტიდან 4 თვის განმავლობაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში არსებული სიახლეების გათვალისწინებით, ვებ გვერდის განახლება მუდმივად მიმდინარეობდა. ასევე, თავსდებოდა იმ შეხვედრებზე ინფორმაცია, რომლებიც იმართებოდა სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 3 – საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება

<i>აქტივობა 1. - პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება</i>				
აქტივობის მოკლე აღწერა	ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება წარმოადგენდა საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე და დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის/ პროგრამებისთვის სასწავლო რესურსების რაოდენობა 			
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში, საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდს დაემატა 8 წიგნი და ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნთა რაოდენობამ შეადგინა 689 ერთეული.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

<i>აქტივობა 2. - საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემის დანერგვა</i>				
აქტივობის მოკლე აღწერა	საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემის დანერგვა წარმოადგენდა საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მატერიალური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ ელექტრონულ საძიებო სისტემაში ასახული საგანმანათლებლო რესურსების მაჩვენებელი 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			

მიღწეული შედეგები	საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს კოლეჯმა ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017-გან შეიძინა შემსრულებლის კომპიუტერზე (სერვერზე) ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვის მომსახურება. მას შემდეგ, საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონულ საძიებო სისტემაში მუდმივად მიმდინარეობს ახალშეძენილ წიგნთა და ელექტრონულ რესურსთა შეტანა/განთავსება. შესაბამისად, მასში განთავსებულია 2020 წელს შეძენილი 8 წიგნიც.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

სტრატეგიული მიზანი 2

2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 8 აქტივობის განხორციელება.

ამოცანა 1 – მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესება

აქტივობა 1 - ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დოკუმენტის შემუშავება	
აქტივობის მოკლე აღწერა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენდა სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დოკუმენტი
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი
მიღწეული შედეგები	სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება არ

	მომხდარა, თუმცა მისი შემუშავება და დამტკიცება განხორციელდა მოგვიანებით, დირექტორის 2020 წლის 10 ივლისის N39 ბრძანებით.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის გადახედვა/განვითარება	
აქტივობის მოკლე აღწერა	ამოცანის „მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესება“ ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის გადახედვა/განვითარება წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი
მიღწეული შედეგები	<p>კოლეჯის მიერ შემუშავდა და დირექტორის ბრძანებით (N19/08.05.2020) დამტკიცდა ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. იმავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2018 წლის 07 ნოემბრის N66 ბრძანება „შპს ბარაკონის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“-ს დამტკიცების შესახებ.</p> <p>შემუშავებული დოკუმენტით განსაზღვრული არის ის საერთო მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის მართვას და მოიცავს თანამშრომელთა შერჩევას და მოზიდვის პროცესსაც. ადამიანური რესურსების მართვის პროცესი, გულისხმობს კოლეჯში დასაქმებულთა განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც გამოიხატება თანამშრომელთა სწავლებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით. ამისთვის კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილია პერსონალის საქმიანობის შეფასება. პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის შემუშავებულია კითხვარები, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლის საქმიანობის შეფასებაზე და კონკრეტული საჭიროებების დადგენაზე. კოლეჯში ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება თვითშეფასების კითხვარი, ხოლო მოდულის განმახორციელებელი პირების შესაფასებლად - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გაწერილი პროცედურები.</p>

	კოლეჯის დეკლარირებული მიზნების მისაღწევად დასაშვებია აგრეთვე კოლეჯის თანამშრომელთა შეფასების სხვა პროცედურების გამოყენება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 3 - პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავება	
აქტივობის მოკლე აღწერა	მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანის ფარგლებში, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავება წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
სავარაუდო ვადა	2020 წელი
მიღწეული შედეგები	კოლეჯის მიერ შემუშავდა და დირექტორის ბრძანებით (N19/08.05.2020) დამტკიცდა ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ის საერთო მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის მართვას. ადამიანური რესურსების მართვის პროცესი, გულისხმობს კოლეჯში დასაქმებულთა განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც გამოიხატება თანამშრომელთა სწავლებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით. ამისთვის კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილია პერსონალის საქმიანობის შეფასება. პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის შემუშავებულია კითხვარები, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლის საქმიანობის შეფასებაზე და კონკრეტული საჭიროებების დადგენაზე. ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასება ემსახურება შემდეგ მიზნებს:

	<p>ა) მოახდინოს პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გამოსწორების გზების დასახვა;</p> <p>ბ) გამოავლინოს პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას.</p> <p>კოლეჯში ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება თვითშეფასების კითხვარი, ხოლო მოდულის განმახორციელებელი პირების შესაფასებლად - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გაწერილი პროცედურები. კოლეჯის დეკლარირებული მიზნების მისაღწევად, აგრეთვე დასაშვებია კოლეჯის თანამშრომელთა შეფასების სხვა პროცედურების გამოყენება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასების მიზნით შესაძლოა გამოყენებული იყოს ატესტაცია.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მეთოდოლოგია გაერთიანებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 4 - შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან და პედაგოგიურ პერსონალთან	
აქტივობის მოკლე აღწერა	შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან და პედაგოგიურ პერსონალთან წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტივობას მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანის მიმართულებით.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ გაფორმებული ხელშეკრულებები

სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>კოლეჯში რეგულარულად მიმდინარეობს შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გადახედვა/გაფორმება როგორც პერსონალთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.</p> <p>საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 4 მომსახურების ხელშეკრულება პედაგოგიურ პერსონალთან, ხოლო 1 - ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 2 - ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება

აქტივობა 1 - პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი	
აქტივობის მოკლე აღწერა	<p>პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი წარმოადგენდა ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.</p>
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული კვლევის ანგარიში
სავარაუდო ვადა	2020 წელი
მიღწეული შედეგები	<p>აღნიშნული აქტივობის განხორციელება უნდა დაწყებულიყო ივნისის თვეში, თუმცა ქვეყანაში არსებულმა ეპიდსიტუაციამ და სასწავლო პროცესის შეწყვეტამ მარტის დასაწყისიდან, განაპირობა აქტივობის ვერდაწყება/ვერ განხორციელება.</p>

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული მასწავლებლების ტრენინგ-პროგრამის შემუშავება

აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული მასწავლებლების ტრენინგ-პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ტრენინგ-პროგრამა 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი არ განხორციელებულა, ტრენინგ-პროგრამის შემუშავება და პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება არ განხორციელებულა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება

აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება წარმოადგენდა ადამიანური რესურსის/პროფესიული
-------------------------------	---

	განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა და დახარჯული რესურსი 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მონაცემთა ანალიზი არ განხორციელებულა, ტრენინგ-პროგრამის შემუშავება და პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება არ განხორციელებულა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 4 - პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში

აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიულ მასწავლებელთათვის ტრენინგების ორგანიზება წარმოადგენდა ადამიანური რესურსის/პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> პროფ. მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და დახარჯული რესურსი 			
სავარაუდო ვადა	2020 წელი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში მოდულის განმახორციელებლებისთვის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით, სისტემატურად ხორციელდება			

	ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა. ასევე, ინდივიდუალური კონსულტაციები გაეწიათ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმხორციელებლებს, რომელი პროგრამების დამატების პროცედურებიც განხორციელდა 2019 წელს. კონსულტირების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს კოლეჯში, მათ შორის დისტანციურადაც.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

სტრატეგიული მიზანი 3

2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 3 ამოცანის ფარგლებში 7 აქტივობის განხორციელება.

ამოცანა 1 – შრომის ბაზრის ანალიზის ანგარიშების მოძიება

<i>აქტივობა 1 - სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა</i>	
აქტივობის მოკლე აღწერა	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა წარმოადგენდა სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> მოძიებული კვლევის ანგარიშები
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი
მიღწეული შედეგები	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშების მოძიება და გაცნობა უნდა განხორციელებულიყო ამოცანის „შრომის ბაზრის ანალიზის ანგარიშების მოძიება“ ფარგლებში. საშუალო დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება

	იგეგმებოდა კოლეჯის მიერ, რომელშიც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება მოხდებოდა, თუმცა მსოფლიოსა და საქართველოში არსებულმა ეპიდსიტუაციამ და სასწავლო პროცესის 4 თვით შეწყვეტამ, განაპირობა ის, რომ ვერ დაიწყო პროგრამის დამატებაზე მუშაობა. შესაბამისად, საჭიროება არ დადგა მოძიებულიყო სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - მოძიებული კვლევის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის/პროგრამებისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების შემუშავება	
აქტივობის მოკლე აღწერა	მოძიებული კვლევის შედეგების საფუძველზე, დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების შემუშავება წარმოადგენდა სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> მოძიებული კვლევის ანგარიშები
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი
მიღწეული შედეგები	კოლეჯის მიერ იგეგმებოდა საშუალო დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, რომელშიც ინტეგრირებული იქნებოდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, თუმცა მსოფლიოსა და საქართველოში არსებულმა ეპიდსიტუაციამ და სასწავლო პროცესის 4 თვით შეწყვეტამ, განაპირობა ის, რომ ვერ დაიწყო პროგრამის დამატებაზე მუშაობა, რადგან წლის პირველ ნახევარში შეუძლებელი იყო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა და სასწავლო აუდიტორიების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა. შესაბამისად, სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიების

	საჭიროება არ დადგა, რის საფუძველზეც უნდა შემუშავებულიყო დასამატებელი პროგრამისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები	-			

ამოცანა 2 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

<i>აქტივობა 1 - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად</i>				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად წარმოადგენდა სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამები 			
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროექტების შემუშავება და დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა. გამომდინარე იქიდან, რომ არ დაწყებულა პროგრამის დამატების პროცედურები, დირექტორისთვის პროგრამის პროექტის წარდგენა არ მომხდარა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓

სამომავლო გეგმები	-
-------------------	---

აქტივობა 2 - ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენდა პარტნიორ დაწესებულებებთან, პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების/ მემორანდუმების გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.			
მთავარი მიზანი	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტთან 			
სავარაუდო ვადა	2020 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	შპს „ავერსი-ფარმა“-სთან განხორციელდა გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებითი შეთანხმების გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული შეთანხმებით, „ავერსი-ფარმამ“ აიღო ვალდებულება სასწავლო წლის განმავლობაში 8 პროფესიული მოდულის ფარგლებში, საკუთარ ბაზაზე განახორციელოს, 80 პროფესიული სტუდენტის სწავლება.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 3 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით განაცხადის/განაცხადების წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით განაცხადის/			

	განაცხადების წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგენდა ერთ-ერთ აქტივობას ამოცანის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“ ფარგლებში.			
მთავარი მიზანი	მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
